community

The New Apostolic Church around the world

01/2024/GE

2024 წლის დევიზი:

ლოცვა მოქმედებს!

რედაქციისგან
ლოცვა მოქმედეს!

ღვთისმსახურება
მამა, შვილები და მთელი ოჯახი

საეკლესიო მოძღვრება
რჩეულება და მოწოდება სასულიერო თანამდებობისათვის

New Apostolic Church
International

რედაქციისგან

3 ლოცვა მოქმედებს!

ღვთისმსახურება

4 მამა, შვილები და მთელი ოჯახი

სიახლეები საქართველოდან

10 მოციქულთა მონაცვლეობა

საბავშვო კუთხე

12 ელისე კურნავს კეთროვან ნაყამანს

14 სტუმრად კიმბერლისთან პარამარიბოში (სურინამი)

დოქტრინა

16 რჩეულება და მოწოდება სასულიერო თანამდებობისათვის

■ თავფურცელის ფოტო: ფრანკ შულდტი
■ უკანა გვერდის ფოტო: კონგოს დემოკრატიულირესპუბლიკა

ლოცვა მოქმედებს!

ფოტო: საერთაშორისო ახალსამოციქულო ეკლესია

ძვირფასო და-ძმანო,

მიუხედავად იმისა, თუ რას განვიცდით, არის ერთი - ხშირად დაუფასებელი - ძალის წყარო: ჩვენი პირადი ლოცვა! შეგვიძლია დარწმუნებული ვიყოთ, რომ ჩვენი ლოცვა შესმენილ იქნება და იმოქმედებს.

2024 წლის დევიზიც სწორედ ეს არის: ლოცვა მოქმედებს!

ჩვენი მისაბაძი მაგალითი, როგორც ყოველთვის, იესო ქრისტეა. მას მამასთან შინაგანი დიალოგი ჰქონდა. მან თავისიანებისათვის ილოცა და დღესაც ჩვენს შუამავალს წარმოადგენს. მისი ლოცვა დღესაც მოქმედებს, რაც ნუგეში და იმედი შეიძლება იყოს ჩვენთვის ამ ახალ წელს.

რას განაპირობებს ლოცვა?

- ლოცვა მადლიერებს გვხდის;
- გვხდის გულმოწყალეს;
- გვაძლიერებს;
- განგვწმედს;
- გვაერთიანებს.

ჩვენმა ლოცვამ რომ იმოქმედოს, ისე უნდა ვილოცოთ, როგორც იესომ გვასწავლა.

ჯერ ერთი, ჩვენი ცხოვრება მუდმივი ლოცვით უნდა ხასიათდებოდეს, მაგრამ ეს ლოცვა სერიოზულიც უნდა იყოს. მეორეც, იესოს სახელით უნდა ვითხოვოთ, ე. ი., ყურადღების ცენტრში საუკუნო ხსნა უნდა დავაყენოთ.

ასევე, მოდით, ვეძიოთ ერთობლივი ლოცვა, თემში, ოჯახსა თუ პარტნიორულ ურთიერთობებში.

ყველას გისურვებთ კურთხეულ 2024 წელს და გამაძლიერებელ ლოცვებს.

გულითადი მოკითხვებით თქვენი

ჟან-ლუკ შნაიდერი

მამა, შვილები და მთელი ოჯახი

ფოტოები: კანადის ახსე

პირველმოციქული ჟან-ლუკ შნაიდერი 18 ივნისს ჰალიფაქსის (კანადა) თემს სტუმრობდა.

1. იოან. 3, 1

„ნახეთ, როგორი სიყვარული მოგვცა მამამ, რათა გვეწოდოს და ვიყოთ ღვთის შვილნი. სოფელი იმიტომ არ გვიცნობს ჩვენ, რომ არ შეიცნო იგი.“

ძვირფასო ძმებო და დებო, ნამდვილად დიდად სასიხარულოა თქვენს შორის ამ ღვთისმსახურების განცდა. მიხარია თქვენი თემის გამო, რამეთუ აქ, თქვენს ეკლესიაში, ერთად ყოფნა შეგვიძლია. დარწმუნებული ვარ, რომ დღეს სულიწმიდის ძალასაც შევიგრძნობთ. როგორც ვხედავ, აქ დამსწრე თემი აშკარად ცოტათი ნაკლებია, ვიდრე გასულ კვირას. რამოდენიმე ათასი ადამიანით ნაკლები, ვიდრე ზამბიაში. მაგრამ ამაზე ნუ იდარდებთ:

სულიწმიდის ძალა არ არის დამოკიდებული მსმენელთა და მომხსენებელეთა რაოდენობაზე. სულიწმიდის ძალა ღვთიურ ძლიერებაში მდგომარეობს, რამეთუ მიმართოს თვითეულს ცალ-ცალკე და პირადი გზავნილი გადასცეს. ორი კაცი იქნება თუ ოცი ათასი, სულიწმიდის ძალა ერთი და იგივეა. ის თვითეულს მის დღევანდელ ცხოვრებისეულ სიტუაციაში მიმართავს და ეუბნება, თუ რას მოელის ღმერთი მისგან და

სათანადო ძალას აძლევს. ეს არის სულიწმიდის ძალა. სრულიად დარწმუნებული ვარ, რომ დღეს ჩვენ ამ ძალას გამოვცდით.

დღევანდელი ჩვენი ციტატა იოანეს პირველი ეპისტოლედან არის აღებული. ეს განსაკუთრებული წერილია; სინამდვილეში ის იმჟამინდელი მორწმუნეების ერთგვარი გაფრთხილებაა ცრუმოძღვართა გამო. ბიბლია ზუსტად არ ხსნის იმას, თუ რაზეა აქ ლაპარაკი. როგორც ჩანს, იყვნენ ცრუმოძღვრები, რომლებსაც იესო ქრისტეს ღვთიური ბუნებისა არ სწამდათ. მოციქულებსა და მათ თანაშემწეებს ამ ცრუმოძღვართა წინააღმდეგ ბრძოლა უწევდათ. ზუსტად არ ვიცით, თუ რაში იყო საქმე, ვინაიდან ეს ხალხი გარკვეული დროის შემდეგ უბრალოდ გაქრა, და დღეს ზუსტად არც კი ვიცით, თუ რას იუწყებოდა მათი მოძღვრება. პრინციპში ეს კარგი გაკვეთილია. არავინ იცის, თუ სინამდვილეში რას ეხებოდა იგი, მაგრამ ჭეშმარიტმა სახარებამ გაუძლო.

ის, თუ რას ნიშნავს დღეს ეს ჩვენთვის, მარტივად ასახსნელია: დღესაც არის ბევრი ადამიანი, ვისაც ჩვენთვის იმის ახსნა სურს, თუ რას ამბობს სახარება და როგორ უნდა გავიგოთ იგი. მაგრამ ჩვენ ახალსამოციქულო ქრისტიანები ვართ და გვწამს, რომ სახარების სწორად საუწყებლად ღმერთმა თავისი მოციქულები მოავლინა. ასეთია ჩვენი რწმენა. ამიტომაც მოციქულთა უწყებებს მივსდევთ, რამეთუ ქრისტეს მეორედ მოსვლისათვის მომზადებულნი ვიყოთ. ამაზე დისკუსია საჭირო არ არის, რაც საქმეს აადვილებს.

ღმერთი ყველა ადამიანის მამაა.

იმ დროს იესო ქრისტეს არსზე იყო საუბარი. ეს ადამიანები არ ითვალისწინებდნენ იესო ქრისტეს ყველა გზავნილს, იესო ქრისტეს ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი გზავნილი კი იყო ის, რომ მან ღმერთი მამად გააცხადა. შეიძლება პირიქითაც ვთქვათ, რომ ღმერთი იესო ქრისტეს მეშვეობით გაცხადდა როგორც მამა. იუდეველებს ღმერთის სხვაგვარი გაგება ჰქონდათ. როცა იესო მოვიდა, უთხრა მათ: „არა, ღმერთია თქვენი ზეციერი მამა.“

ვიცი, როგორც კი ამას ვიტყვი, მაშინვე საპასუხო გამოხმაურება მოჰყვება ჩემს ამ სიტყვებს: „ნუთუ ეს იმას ნიშნავს, რომ ღმერთი კაცია?“ არა, ღმერთი არც მამრია და არც მდედრი. ის ბევრად აღემატება ადამიანურ ბუნებას. მეფსალმუნე ამბობს, რომ ის თავისიანებზე ისე ზრუნავს, როგორც მამა და დედა.

ღმერთი ყველა ადამიანის მამაა, ვინაიდან მან შექმნა ისინი და ის განაგებს თავის შემოქმედებასა და ქმნილებებს. ის არის მამა, რამეთუ იგია სიცოცხლის საწყისი. ეს არის პირველი აზრი, რაც ამასთან დაკავშირებით მოგვდის.

იესოც ჩვენს მამას უწოდებდა ღმერთს, ვინაიდან ყველა ადამიანს ისე შეუძლია ესაუბროს მას, როგორც მამას. იესო უხსნიდა ხალხს, რომ ღმერთმა იცის მათი საჭიროებების შესახებ და ზრუნავს მათზე. ღმერთი ყველა ადამიანზე ზრუნავს. ყველას შეუძლია მიმართოს მას, როგორც მამას. იესო ამბობდა, რომ ღმერთს „თავისი მზე ამოჰყავს კეთილთა და ბოროტთათვის და წვიმას უგზავნის მართალთაც და უსამართლოთაც“ (მათ. 5, 45). ის ყველა ადამიანის მამაა. ეს რაღაც ძალიან მნიშვნელოვანია და იესომ ეს კიდევ უფრო კარგად ახსნა.

მან ღმერთი აღწერა როგორც მოსიყვარულე მამა, რომელიც სავსეა თანაგრძნობით ცოდვილი ადამიანის მიმართ. თქვენ იცით ეს ისტორია: ადამიანი იმისათვის შეიქმნა, რომ ღმერთთან ერთად ეცხოვრა. ადამმა და ევამ კი გადაწყვიტეს, მიეტოვებინათ ღმერთი. ისინი დაშორდნენ მას. ღმერთი მოსიყვარულე მამაა, სავსე თანაგრძნობით. მას სურს, რომ ყველა ადამიანი დაბრუნდეს მასთან. პავლე ამბობს, რომ იგი ყველა მათგანს ელოდება - იმათაც, ვინც ძალიან შორს არის მისგან, და იმათაც, ვინც ახლოა - და მათი გადარჩენა უნდა. აი ეს არის მამა.

ღმერთი ყველა ადამიანის მამაა. მაგრამ მათ, ვისაც არ სწამს მისი, ვინც - როგორც აქ არის ნათქვამი - არ აღიარა იგი, ვინც არ მიიღო იესო, მათ, ვინც არასწორად გაიგო მისი გზავნილი, სხვაგვარი გაგება აქვთ ღმერთისა და ადამიანისა. მათთვის ღმერთი მსაჯულია, რომელიც უკანასკნელ სამსჯავროს ელოდება და ყველა ამ საშინელ ცოდვილს დასჯის. უცნაურია, მაგრამ ჯერ კიდევ ბევრ ქრისტიანს სწამს ამის. მათ დაივიწყეს იესო ქრისტეს გზავნილი, რომელიც ღმერთს მოსიყვარულე მამად აღწერს, რომელსაც ყველა ადამიანის გადარჩენა სურს.

იესომ ღმერთი მოსიყვარულე მამად აღწერა. ბევრი ქრისტიანი ღმერთს დღემდე ისე ეპყრობა, როგორც კერპს. ისინი ფიქრობენ, რომ ღმერთის ყიდვა შეიძლება. ფიქრობენ, რომ თუ საკმარის შესაწირს გაიღებენ, სწორად მოიქცევიან, შეძლებენ მისი წყალობისა და კურთხევის გამოსყიდვას. „თუ კეთილად მოექცევი ღმერთს, ისიც კეთილი იქნება შენს მიმართ, და თუ კეთილად არ მოექცევი ღმერთს, არც ის იქნება კეთილი შენს მიმართ.“ ისინი მას ისე ეპყრობიან, როგორც კერპს. სწირავენ

მსხვერპლს და ამბობენ: „მე შენი მორჩილი ვარ, მაშ, იყავი კეთილი ჩემს მიმართ!“ ეს არ არის ღმერთის, საყვარელი მამის, ხატება. ეს რაღაც სხვაა.

სხვები - მათ შორის ქრისტიანებიც - ღმერთს უყურებენ, როგორც დიდ მეფეს, რომელმაც უნდა მართოს ქვეყანა და ამქვეყნიური და საზოგადოების პრობლემები მოაგვაროს. ზოგს ჰგონია, რომ ამ საქმეში ღმერთის დასახმარებლად არიან მოწოდებულნი. მათ სურთ, ღმერთის სახელითა და დავალებით მართონ ეს ქვეყანა, როგორც ისრაელის მეფენი მართავდნენ ძველი აღთქმის პერიოდში.

იესომ თქვა: „არა, ჩემი ხელმწიფება ამქვეყნიური არ არის. ღმერთს თქვენი გადარჩენა სურს, ამ ქვეყნიდან განთავისუფლება. მაგრამ ამ ქვეყნის მართვა ღმერთის მისიაში არ შედის. ეს მას არ აინტერესებს.“

ღმერთი ჩვენი მოსიყვარულე მამაა. მას ყველა ადამიანი უყვარს, მას ყველას გადარჩენა სურს და ეს გადარჩენა საუკუნო სიცოცხლეში მდგომარეობს.

ისინი, ვისაც ნამდვილად არ სწამს იესო ქრისტესი ან არასწორად გაიგეს მისი გზავნილი, ფიქრობენ, რომ ღმერთი შერჩევითია თავის სიყვარულში და ერთნი უფრო მეტად უყვარს, ვიდრე სხვები - მათი წარმოშობის, ქცევის, რელიგიის, რწმენის მიხედვით. ეს ნამდვილად არ არის ასე! ყველა ადამიანი ღვთის შვილია და ყველა მათგანი მას ერთნაირად უყვარს. მისი სურვილია, რომ ყველა მასთან იყოს საუკუნოდ.

ეს იმას არ ნიშნავს, რომ ყველა სარგებლობს მისი სიყვარულით. აქ საქმე ცოტა სხვაგვარადაა: იმისათვის, რომ ღვთიური სიყვარულით ვისარგებლოთ, რაღაც უნდა გავაკეთოთ. თუმცა ღმერთი განსხვავებებს არ აკეთებს. მას ყველა უყვარს, ცოდვილებიც ზუსტად ისევე, როგორც მართლები. მას ისინი ერთნაირი სიყვარულით უყვარს. ის მამაა, ხოლო ადამიანები მისი შვილები არიან.

ზოგჯერ ადამიანები ფიქრობენ, რომ რახან კარგად ხარ და მდიდარი ხარ, ეს იმას ნიშნავს, რომ ღმერთს უყვარხარ და გაკურთხებს; ხოლო თუ ავად ხარ და ღარიბი ხარ, მაშინ რაღაც არასწორად გააკეთე და ღმერთმა უარგყო. ეს უაზრობაა! ღმერთს ყველა მისი შვილი ერთნაირად უყვარს. ის მათ არ დასჯის მაშინაც კი, თუ ისინი სწორად არ იქცევიან. ის, რომ ღარიბი ხარ, არ ნიშნავს იმას, რომ ღმერთმა უარი თქვა შენზე, და თუ მდიდარი ხარ, ღმერთმა გაკურთხა. სხვათა შორის, ხანდახან ეს პირიქითაც არის. მაგრამ ეს სულ სხვა ისტორიაა.

კარგად უნდა გვესმოდეს, რომ ყველა ადამიანი ღვთის შვილია და, რომ ღმერთს მათი დასჯა ან ცოდვილების დაგმობა არ სურს. ვინაიდან ადამიანები ზოგჯერ იმის უფლებას ითვისებენ, რომ ღმერთმა მათ ცოდვილთა დასჯა და იმათი დაგმობა დაავალა, ვინც ისეთები არ არიან, როგორებიც უნდა იყვნენ. ცოდვილების დასასჯელად და დასაგმობად მათ ღმერთის სახელით მოქმედება სურთ.

ეს ნამდვილად არ შეესატყვისება ღვთის ნებას! ის ყველა ადამიანის მამაა და მას ყველა მათგანი უყვარს. მას მათი გადარჩენა სურს და არა დასჯა. მამისა და მისი შვილების ამ სახეს დიდი მნიშვნელობა აქვს; მაგრამ ეს იესო ქრისტეს შუქზე უნდა გავიაზროთ და მაშინ გასაგები იქნება. ვინც იესო ქრისტეს გზავნილი ვერ გაიგო, მათ ნამდვილად არასწორი წარმოდგენა აქვთ მასზე.

ცნებას „ღვთის შვილი“ სულიერი განზომილებაც გააჩნია: ღვთის შვილები ისინი არიან, ვინც წყლისა და სულისგან ხელახლა დაიბადნენ. ისინი იესო ქრისტეს თანამემკვიდრენი, საუკუნო სიცოცხლის მემკვიდრენი გახდნენ. ეს არის ღვთის შვილების სხვა განზომილება. ღვთის შვილები არიან ისინი, ვინც ყველა საიდუმლო მიიღო, ვისაც სახარების სწორი უწყებისა სწამს და ცხოვრებაში ქრისტეს მეორედ მოსვლაზეა ორიენტირებული.

ღმერთს ყველა თავისი შვილი ერთნაირი სიყვარულით უყვარს.

ღვთის შვილად ყოფნა და საუკუნო სიცოცხლის მემკვიდრეობა მარტო საიდუმლოებით არ ამოიწურება. არა, ღვთის შვილად ყოფნა ყველა საიდუმლოს მიღებას, სახარების სწორად უწყების რწმენას და ცხოვრებაში ქრისტეს მეორედ მოსვლაზე ორიენტირებას ნიშნავს. ასეთია ნამდვილი ღვთის შვილი. ბიბლია ამბობს, რომ ისინი მამისა და ძის სახელს ატარებენ და წმიდად ინახავენ მის სახელს თავიანთი ქცევით, პრაქტიკულად ახორციელებენ სიმართლესა და მოყვასის სიყვარულს. რაც არ უნდა მოხდეს, ნამდვილი ღვთის შვილი ენდობა მამას. პავლემ თქვა: „აბა, საყვარელო მამაო.“ ამით მას შემდეგის გამოხატვა სურდა: „ღმერთო, შენ ხარ მამა ჩემი, მე შენ გენდობი!“ ეს არის ნამდვილი ღვთისშვილობა.

ასეთი ღვთის შვილი თავისუფლებაში ცხოვრობს. რას ნიშნავს ეს? ბიბლია ამბობს, რომ ისინი, ვინც სულიწმიდას მათი წარმართვის საშუალებას აძლევენ, ჭეშმარიტად ღვთის შვილები არიან. ისინი თავისუფლები არიან. ღვთის შვილთა ეს თავისუფლება - მე ხაზს ვუსვამ ამ პუნქტს - ნიშნავს იმას, რომ მათი მამოძრავებელი ძალა ადამიანური ბუნება არ არის. მათი ქცევა მათი საჭიროებების მიხედვით არ არის ნაკარნახევი. მათი ქცევა არც იმ სიტუაციით არის ნაკარნახევი, რომელშიც ცხოვრობენ, არც მათი სიმდიდრით ან სიღარიბით. მათი, ქცევა, მათი აზრი, არ არის ნაკარნახევი მასობრივი ინფორმაციის ძირითადი საშუალებებით და სოციალური მედიით. ღვთის შვილი ამბობს: „ადამიანებს შეუძლიათ თქვან, რაც სურთ. აკეთონ ის, რაც უნდათ. დაე, ისეთი იყოს სიტუაცია, როგორიც არის. ეს ყველაფერი ჩემი ქცევის განმსაზღვრელი ვერ იქნება.“

ღვთის შვილს სულიწმიდა წარმართავს; იმას, თუ რას აკეთებს იგი, რას ფიქრობს და რას ამბობს, მისი რწმენა განსაზღვრავს, რომელიც სიყვარულით მოქმედებს. ეს არის ღვთის შვილთა თავისუფლება. მათი ქცევა, მათი გრძნობები მხოლოდ ერთი რამით განისაზღვრება: მათი რწმენით, რომელიც აცნობიერებინებს მათ: „მე ვარ ღვთის შვილი. ღმერთი მამაა ჩემი. მას ვუყვარვარ. მას ჩემთან საუკუნო თანაზიარება უნდა თავის სასუფეველში. იქ მინდა ყოფნა.“ ეს არის ღვთის შვილთა თავისუფლება. კიდევ ერთხელ: იმის გასაგებად თუ რას ნიშნავს ღვთის შვილად ყოფნა, იესო ქრისტეს გზავნილის გაგებაა აუცილებელი. ვინაიდან მოვა ბოროტი - ყოველთვის ერთი და იგივე სტრატეგიაა - და თავიდან გეტყვის: „თუ ღვთის შვილი ხარ, მაშინ ...“ როგორც ეს იესო ქრისტეს უთხრა: „შენ თუ ღვთის საყვარელი ძე ხარ, არ უნდა დაიტანჯო.“ ის გვაქეზებს, რომ ეჭვი შევიტანოთ ჩვენს ღვთისშვილობაში, როცა ამას გვეუბნება: „როგორ შეგიძლია ისე მოიქცე, თითქოს ღვთის შვილი იყო? მას ხომ უნდა უყვარდე, შენი მამა უნდა იყოს, შენ კი ასეთი მძიმე სიტუაციის გადატანა გიწევს? შეხედე სხვებს! მათ მეტი ფული აქვთ, ჯანმრთელები არიან, შენ კი სნეული ხარ. ისინი ბედნიერები არიან, შენ კი უამრავი პრობლემა გაქვს“, და ა.შ. თქვენ იცნობთ ამ სულს.

ვინც იესო ქრისტეს იცნობს, იცის, რომ იესო ქრისტე ღვთის ძე იყო და ღმერთს უყვარდა იგი; თუმცა

მოციქული იონათან კარლ შტურმი

სამხ. მოციქული რიუდიგერ კრაუზე

მას მაინც მოუწია ტანჯვა და დევნა. იყო ღვთის საყვარელი შვილი, არ ნიშნავს იმას, რომ ყველა ტანჯვა აგცდება. ეს ერთმანეთთან კავშირში არ არის. ღვთის შვილად ყოფნა ღვთის სასუფეველში შესვლისა და საუკუნო სიცოცხლის დამკვიდრების შესაძლებლობას ნიშნავს. ამის მნიშვნელობა ეს არის. ამას არანაირი კავშირი არა აქვს იმასთან, რომ ადამიანი ტანჯვისგან იყოს დაცული და კურთხეული ყველა ამქვეყნიურ საქმეში.

ვინც იესო ქრისტეს იცნობს, იცის, თუ რას ნიშნავს ღვთის შვილად ყოფნა. ასეთი ადამიანი იესო ქრისტეს შესცქერის და იცის, რაც დაემართა მას, ესეც იცის: „კარგი, ნორმალურია, რომ მეც იგივე დამემართოს.“

ნამდვილმა ღვთის შვილმა ისიც იცის, რომ მის ცხოვრებაში ღვთისშვილობაზე მნიშვნელოვანი არაფერია. ბოროტს, იესო ქრისტეს მტერს, ამის განადგურება სურს. მას უნდა ვიფიქროთ, რომ ჩვენი ცხოვრება უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ჩვენი ღვთისშვილობა; მისი სურვილია, რომ ჩვენი აზრები და შეხედულებები უფრო მნიშვნელოვანი იყოს ჩვენთვის; რომ ამქვეყნიურ ცხოვრებაში არის ისეთი რაღაცეები, რაც უბრალოდ ჩვენს კომპეტენციაშია.

მაგრამ ღვთის შვილმა იცის: „არა, ჩემი ღვთისშვილობა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ჩემი ამქვეყნიური ცხოვრება. საქმე ჩემს პიროვნებას, ჩემს იდეებს, ჩემს აზრებს, ჩემს უფლებებს არ ეხება. მე მაქვს უფლება, შევიდე ღვთის სასუფეველში, როგორც პირმშო; მინდა, რომ იესო ქრისტეს ხატად ვიქცე და ეს არის ყველაზე მნიშვნელოვანი ჩემთვის, ღვთის შვილად ყოფნა ჩემთვის უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ჩემი თვითრეალიზება.“ გასაგებია, რას ვგულისხმობ? ჩვენი ღვთისშვილობა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ჩვენი ამქვეყნიური ყოფიერება. იესო ქრისტემ ამის მაგალითი მოგვცა. მისთვის ბევრად უფრო მეტს ნიშნავდა ის, რომ იგი ღვთის ძე, ღვთისგან მოვლენილი იყო, ვიდრე იესო ნაზარეველად ყოფნა. იგივე ჩვენც გვეხება.

ღმერთს მისი შვილების შეკრება უნდა, რათა თავის სასუფეველში წაიყვანოს ისინი. მას უნდა, რომ მისი შვილები ერთნი იყვნენ და არსებული განსხვავებები დაძლიონ. ადგილი კი, სადაც ამ განსხვავებების დაძლევა შეუძლიათ, ეკლესიაა. ასეთია ღვთის ნება, იესო ქრისტეს ნება. „დიახ, თქვენ ყველა ძალიან განსხვავებულები ხართ, მაგრამ მე მინდა, რომ ერთნი იყოთ, ადგილი კი, სადაც ამ განსხვავებების დაძლევას შეძლებთ, ეკლესიაა.“

ამასთან დაკავშირებით დღევანდელ საზოგადოებაში პრობლემა გვაქვს, ვინაიდან ადამიანები იქითკენ არიან მიდრეკილნი, რომ ჯიუტად გაუსვან ხაზი მათ განსხვავებებს. ყველას უნდა, რომ თავის სხვაგვარობა განსაზღვროს:

„მე სხვანაირი ვარ, ამა თუ იმ ჯგუფს ვეკუთვნი, ასეთი ვარ და ასეთი განსხვავებული უნდა მიმიღოთ; და რადგან სხვანაირი ვარ, ჩემი უფლებები გამაჩნია“, და ა. შ. მე მხოლოდ ერთი რამ მაინტერესებს: როგორ გინდათ ააშენოთ საზოგადოება ამგვარი განხეთქილებით? ვერ ხვდებით, რომ ამ სულის ერთადერთი მიზანი სულ უფრო მეტი განხეთქილების ჩამოგდებაა? არ არის გასაკვირი, რომ ამგვარ საზოგადოებაში ერთობის ჩამოყალიბება ნამდვილად შეუძლებელია. არ არის გასაკვირი, რომ ეს საზოგადოება სულ უფრო მეტად დაყოფილია და სულ უფრო ნაკლებად კეთილგანწყობილი ერთმანეთის მიმართ. განა უკეთესი არ იქნებოდა, რომ ადამიანები იმაზე იყვნენ კონცენტრირებულნი, რაც საერთო აქვთ, და არა იმაზე, რაც განასხვავებს?

მადლობა ღმერთს, მე, როგორც პირველმოციქული, ასეთ საზოგადოებაზე არ ვარ პასუხისმგებელი. მაგრამ, ძმებო და დებო, მოდით, დავფიქრდეთ იმაზე, თუ რა არის ის სული, რომელიც ყოველივე ამის უკან დგას? ეს განხეთქილების სულია. რაც უფრო მეტი დაჯგუფება არსებობს - თვითეული ასე მნიშვნელოვანი და ასე სხვანაირი -, მით უფრო მეტად იქნება საზოგადოება გახლეჩილი და მით უფრო მეტი ეგოიზმი იქნება ამქვეყნად.

დავუბრუნდეთ ეკლესიას: ჩვენთვის მნიშვნელოვანი ჩვენი განსხვავებები, ჩვენი აზრები არ არის. ღმერთს ჩვენი ერთობა სურს. პავლე ამბობდა, რომ ქრისტეში არ არიან არც ბერძნები და არც იუდეველები. წარმოდგენა არ გვაქვს, თუ რას ნიშნავდა ეს მაშინდელი საზოგადოებისათვის. ჩვენთვის ეს მხოლოდ ორი სიტყვაა: „ბერძნები“ და „იუდეველები“. იმჟამად ხალხისათვის ეს დიდ რაოდენობას ნიშნავდა. თუ ცოტა ჩავუღმავდებით ამ თემას, მივხვდებით, რომ ეს, მართლაც, ორი სამყარო იყო, უკიდურესად განსხვავებული. და პავლე ამბობს: „აღარ არის იუდეველი, აღარც ბერძენი, აღარც მონა და აღარც თავისუფალი, აღარც მამრი და აღარც მდედრი; რადგან ყველანი ერთი ხართ ქრისტე იესოში.“

ამ საზოგადოებაში ეს ძალიან ბევრს ნიშნავდა. ვერც კი წარმოიდგენთ, რა იმალებოდა ამ სიტყვების მიღმა იმჟამად ხალხისთვის. ჩვენთვის ეს მხოლოდ გამოთქმაა, მაგრამ, გთხოვთ, უფრო დეტალურად შეხედოთ ისტორიულ და სოციალურ კონტექსტში იმას, თუ რას ნიშნავდა იმ დროს ბერძნად თუ იუდეველად ყოფნა, მონად თუ თავისუფალ ადამიანად ყოფნა.

პავლე ამბობს, რომ ეკლესიაში, ქრისტეში, განსხვავებები აღარ არსებობს. ის, რაც საერთო გვაქვს, ბევრად უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ის, რაც ერთმანეთს გვაშორებს. მოდით, გვერდზე გადავდოთ ჩვენი მოსაზრებები და ქრისტეს ხატად ვიქცეთ. ჩვენი მოწოდება უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ჩვენი უფლებები. ჩვენი მისია უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ყველა სარგებელი, რაც შეიძლება გვქონდეს, და ა. შ.

ჩემო ძვირფასო ძმებო და დებო, ჩვენ ღვთის შვილები ვართ. ღმერთს უნდა, რომ მისი ოჯახი, მისი შვილები, ერთნი იყვნენ. ადგილი, სადაც მათ თავიანთი განსხვავებების დაძლევა შეუძლიათ, ეკლესიაა; ამას სულიწმიდის შემწეობით შევძლებთ და ნამდვილად ერთნი ვიქნებით იესო ქრისტეში - აი ეს არის ჩვენი მიზანი.

გზავნილი ნათელია: ღმერთი ჩვენი მოსიყვარულე მამაა, ის ზრუნავს ჩვენზე. არ იდარდო, მან ზუსტად იცის შენი საჭიროებების შესახებ და იზრუნებს შენზე. გთხოვ, გაითვალისწინო, რომ შენი მოყვასიც ღვთის შვილია და, რომ ღმერთს ისიც ისე უყვარს, როგორც შენ; ისიც აღიარე, რომ ის არანაირ განსხვავებებს არ აკეთებს. არავის ძალუძს მართოს ქვეყანა მისი სახელით. არავის ძალუძს ებრძოლოს ცოდვილებს და დაგმოს ისინი ღვთის სახელით. ღმერთი მოსიყვარულე მამაა ყველა ადამიანისათვის.

ჩვენ ღვთის შვილები ვართ, რამეთუ ყველა საიდუმლო მივიღეთ. ჩვენ გვწამს სახარების სწორი უწყებისა. მოდით, ცხოვრება იესო ქრისტეს მეორედ მოსვლაზე ორიენტირებით წარვმართოთ. დიახ, ჩვენ მამისა და ძის სახელს ვატარებთ და ყველაფერს ვაკეთებთ, რათა წმიდად შევინახოთ იგი, როცა სიმართლესა და სიყვარულს პრაქტიკულად ვნერგავთ. ჩვენ ღვთის შვილები ვართ და, მოდით, ერთნი ვიყოთ ქრისტეში. მისი შემწეობით ყველა განსხვავების დაძლევას შევძლებთ.

ძირითადი აზრები

ღმერთი ყველა ადამიანის მამაა, მას ყველა ერთნაირად უყვარს და მათი გადარჩენა უნდა. წყლისა და სულისგან ხელახლაშობილი მორწმუნენი, რომლებიც ცხოვრებაში ქრისტეს მეორედ მოსვლაზე არიან ორიენტირებულნი, საუკუნო სიცოცხლეს დაიმკვიდრებენ. ჩვენ ღვთისშვილობასა და ეკლესიის ერთობას ვანიჭებთ პრიორიტეტს.

სიახლეები საქართველოდან: მოციქულთა მონაცვლეობა

2023 წლის 29 ოქტომბერს საქართველოს ახალსამოციქულო ეკლესიის მოციქული და პრეზიდენტი ვოლფგანგ შუგი დამსახურებულ პენსიაზე გავიდა, მისი ადგილი მოციქულმა რენე ფოლმანმა დაიკავა, რომელიც ერთი წლის წინ ეპისკოპოსის რანგში ჩამოვიდა საქართველოში და მოციქულ ვ. შუგს საორგანიზაციო და სასულიერო საქმეებში ეხმარებოდა. მისი მზრუნველობის სფეროში შევიდა ასევე სომხეთისა და აზერბაიჯანის სამხარეო ეკლესიები.

ვოლფგანგ შუგი: დაიბადა 1958 წლის 31 დეკემბერს ვუპერტალში. იგი ახალსამოციქულო ეკლესიის მოციქულია და მისი მოღვაწეობის სფეროს წარმოადგენდა ჩრდილოეთ-რაინ ვესტფალიის (დასავლეთი) მხარე, ასევე საქართველო და აზერბაიჯანი. იგი საქართველოს პირველად 1998 წელს ეწვია ეპისკოპოსის რანგში და მოციქულ გუნთერ ჰომბურგს ეხმარებოდა საქართველოს ახალსამოციქულო ეკლესიის ზრდასა და განვითარებაში. 2005 წელს პირველმოციქულმა ვილჰელმ ლებერმა იგი მოციქულად აკურთხა. ამავე დროს მან საქართველოში მოციქული გუნთერ ჰომბურგი შეცვალა და საქართველოს ახალსამოციქულო ეკლესიის მოციქული გახდა. 40 წელი მოღვაწეობდა მოციქული ვ. შუგი ახალსამოციქულო ეკლესიაში მღვდელმსახურად, მათგან 18 წელი - მოციქულად. როცა 2023 წლის 29 ოქტომბერს პირველმოციქული ჟან-ლუკ შნაიდერი დამსახურებულ პენსიაზე უშვებდა მას, ასე დაახასიათა იგი: „ვოლფგანგ შუგს ყოველთვის იმაზე მეტი შეუძლია, ვიდრე ამას აჩვენებს, და ყოველთვის იმაზე მეტს აკეთებს, ვიდრე ამბობს.“

რენე ფოლმანი: საქართველოს ახალი მოციქული რენე ფოლმანი 2004 წლიდან მოღვაწეობს მღვდელმსახურად. მახარებელი რენე ფოლმანი იყო პირველი ეპისკოპოსი დასავლეთ გერმანიაში, რომელიც 2019 წელს ახალსამოციქულო ეკლესიის სასულიერო თანამდებობის ახლებური გაგების მიხედვით ეპიკოპოსად ხელდასხმით კი არ აკურთხეს, არამედ დანიშნეს. საქართველოში იგი 2023 წელს ჩამოვიდა ეპისკოპოსის რანგში; ამავე წლის 29 ოქტომბერს პირველმოციქულმა ჟან-ლუკ შნაიდერმა იგი მოციქულად აკურთხა და დასავლეთ გერმანიის კონკრეტულ თემებთან ერთად კავკასიის სამი რესპუბლიკის - საქართველო, აზერბაიჯანი, სომხეთი - კურირებაც დაავალა. მოციქულის

სემინარის შემდეგ

ფოთის თემი

სასულიერო თანამდებობის რანგში რენე ფოლმანი საქართველოს ნოემბერში ესტუმრა.

რენე ფოლმანი დაიბადა1977 წელს ქალაქ დუისბურგში. იგი დაოჯახებულია და ჰყავს ორი შვილი, 13 გოგო და 16 წლის ბიჭი.

მოციქული რენე ფოლმანი საქართველოს მოციქულის რანგში 8 ნოემბერს, ოთხშაბათს, ესტუმრა და იმავე საღამოს თბილისში, ავლაბრისეკლესიაში,ჩაატარა ღვთისმსახურება, რომელსაც ადგილობრივი თემის გარდა სომხეთიდან და აზერბაიჯანიდან ჩამოსული მღვდელმსახურები ესწრებოდნენ. მეორე დღეს სემინარი იყო დანიშნული ღვთისმსახურთათვის და ისინი მასში მონაწილეობის მისაღებად და ახალ მოციქულთან შესახვედრად ჩამოვიდნენ. მოციქულმა ღვთისმსახურება იოანეს სახარებიდან (12, 35) აღებული ციტატით წარმართა: „უთხრა მათ იესომ: ‘კიდევ მცირე ხანს არის თქვენს შორის ნათელი. იარეთ, სანამ ნათელი გაქვთ, რათა ბნელმა არ მოგიცვათ. ბნელში მოარულმა არ იცის საით მიდის.“ საღამოს ერთობლივი ვახშამი გაიმართა.

ხუთშაბათს, 9 ნოემბერს, თბილისის ეკლესიაში მოც. რ. ფოლმანმა სემინარი ჩაატარა თემაზე: „რჩეულება და მოწოდება სასულიერო თანამდებობისთვის“, სადაც ხაზი გაესვა იმას, რომ სასულიერო თანამდებობაზე მორწმუნეს ღმერთი ირჩევს და მოუწოდებს და არა ადამიანი. ეს ღვთიური საქმეა და არა ადამიანური. სემინარის დამთავრების შემდეგ მოძმე რესპუბლიკების მღვდელმსახურები თავიანთ ქვეყნებში დაბრუნდნენ.

10 ნოემბერს, პარასკევ, მოც. რ. ფოლმანი, სამხ. წინამძღვარი მიხეილ ხიზანიშვილი და სამხ. ხუცესი პენსიაში პ. უგრიმოვი დასავლეთ საქართველოში გაემგზავრნენ. იქ შაბათს, 11 ნოემბერს, ფოთში ჩატარდა ღვთისმსახურება, ხოლო მეორე დღეს, კვირას, ბათუმში. ღვთისმსახურების შემდეგ მოციქულმა და მისმა თანმხლებმა პირებმა თბილისისკენ აიღეს გეზი. მეორე დილით მოციქული სამშობლოში გაემგზავრა.

ავლაბრის ეკლესია, ღვთისმსახურების დაწყებამდე

ფოტო: საქართველოს ახ. ს. ე.

სამახსოვრო სურათი ბათუმის თემში

ელისე კურნავს კეთროვან ნაყამანს

4. მეფ. 5-ის მიხედვით

ნაყამანი არამის მეფის სარდალი იყო. მეფე მეტად აფასებდა მას, ვინაიდან არამელებმა მისი წყალობით დაამარცხეს ისრაელი. ის იყო ძლევამოსილი, მაგრამ კეთროვანი.

ნაყამანის ცოლს ერთი მსახური ჰყავდა. ეს გოგონა მოლაშქრეებმა ისრაელიდან წამოიყვანეს.
მან თავის ქალბატონს უთხრა: „ნეტავ მისულიყო ჩემი ბატონი წინასწარმეტყველთან სამარიაში, ხომ განკურნავდა კეთრისგან.“
ნაყამანმა მოახსენა მეფეს ის, რაც გოგონამ უთხრა. არამის მეფემ კი წერილი მისწერა ისრაელის მეფეს და სთხოვა, რომ ნაყამანს დახმარებოდა.
ნაყამანმა თან წაიღო „ათი ქანქარი ვერცხლი, ექვსი ათასი შეკელი ოქრო და ათი ხელი ტანისამოსი.“
და მიართვა ისრაელის მეფეს წერილი, სადაც ეწერა: „აი ახლა, როდესაც ეს წერილი მოვა შენთან, აჰა, გიგზავნი ნაყამანს, ჩემს მსახურს, რომ განკურნო იგი კეთრისგან.“ როცა ისრაელის მეფემ წერილი წაიკითხა, შემოიხია ტანისამოსი და თქვა: „ღმერთი ხომ არ ვარ, რომ ვკლავდე და ვაცოცხლებდე?“
როგორ უნდა განვკურნო ეს კაცი კეთრისგან? ‘იცოდეთ, შემოჩენილია იგი [არამის მეფე].“
ეს ამბავი ელისემ, წინასწარმეტყველმა, გაიგო.
მან კაცი მიუგზავნა მეფეს და შეუთვალა: „მოვიდეს [ნაყამანი] ჩემთან და დარწმუნდეს, რომ არის წინასწარმეტყველი ისრაელში.“
ნაყამანი ცხენებითა და ეტლით მივიდა და ელისეს სახლის წინ გაჩერდა.
ელისემ მსახური მიუგზავნა და შეუთვალა: „წადი, შვიდგზის იბანე იორდანეში და გაგიახლდება ხორცი, და გაწმედილი იქნები.“
განრისხდა ნაყამანი და თქვა: „აჰა, ვიფიქრე, გარეთ გამოვა, დადგება და უფლის, თავისი ღვთის, სახელს ახსენებს, ადგილზე დამადებს ხელს და კეთრისგან განმკურნავს-მეთქი. განა დამასკოს მდინარეები აბანა და ფარფარი ისრაელის მთელს

მდინარეებს არ სჯობია? განა იქ ვერ ვიბანებ და ვერ გავსუფთავდები?“ განრისხებული შებრუნდა და წავიდა.
მისი მსახურები მივიდნენ მასთან და უთხრეს: „ჩემო მამავ! საძნელო რამე რომ მოეთხოვა შენგან მაგ წინასწარმეტყველს, ხომ შეასრულებდი? მით უფრო, როცა გეუბნება: ‘იბანე და განიწმიდები!“ ნაყამანმა დაუჯერა მსახურებს. გადმოვიდა ეტლიდან და შვიდჯერ ჩაყვინთა იორდანეში, როგორც წინასწარმეტყველმა შეუთვალა „და ჩვილი ბავშვივით განუახლდა ხორცი და განიწმიდა.“
მთელი თავისი ამალით ელისესთან დაბრუნდა, მივიდა მასთან და უთხრა: „აჰა, ახლა კი ვიცი, რომ არა არს ღმერთი ისრაელის ღმერთის გარდა. ნება მომეცი, დაგასაჩუქრო და გაკურთხო.“
ელისემ არაფერი არ გამოართვა და უთხრა: „მშვიდობით იარე!“
როცა ნაყამანი რაღაც მანძილით გაშორდა იქაურობას, გეხაზიმ, ელისეს მსახურმა, თქვა: „გავეკიდები და რაღაცას გამოვართმევ.“ „და დაედევნა გეხაზი ნაყამანს. როცა დაინახა ნაყამანმა, რომ ვიღაც მოსდევს, ეტლიდან გადმოვიდა და წინ შეეგება და თქვა: ‘მშვიდობაა?“ მსახურმა მიუგო: „დიახ. ჩემმა ბატონმა გამომგზავნა, რომ გადმომეცა შენთვის: ეფერემის მთიდან ორი ყმაწვილი მესტუმრაო წინასწარმეტყველთაგან და მიეცი მათ ორი ქანქარი ვერცხლი ორ ქისად და ორი ხელი ტანსაცმელიო.“
ნაყამანმა გეხაზის ორი ქანქარი ვერცხლი და ორი ტანსაცმელი მისცა; ძღვენი ნაყამანის მსახურებმა წაუღეს მას სახლში. მერე ელიასთან მივიდა იგი, მან კი ჰკითხა: „საიდან მოდიხარ?“ გეხაზიმ პასუხს თავი აარიდა, თუმცა ელისემ ზუსტად იცოდა, რაც მოხდა: „შენ ვერცხლი და ტანსაცმელი აიღე და ზეთისხილის ბაღებს, ვენახებს, ცხვარ-ძროხას, მსახურებს შეიძენ. მაგრამ სამაგიეროდ ნაყამანის კეთრი გადაგედება. შენი შთამომავლობაც კეთროვანი იქნება.“
„და წავიდა მისგან გეხაზი კეთროვანი, როგორც თოვლი.“

წყარო: საბავშვო ჟურნალი, გამოცემა 03. 2023 წ.; ილუსტრაციები: მირელა ფორტუნატი

სტუმრად კიმბერლისთან პარამარიბოში (სურინამი)

გსმენიათ ოდესმე სურინამის შესახებ? ჩემი სამშობლო ყველაზე პატარა ქვეყანაა სამხრეთ ამერიკაში. დასავლეთით ესაზღვრება გვიანას და აღმოსავლეთით საფრანგეთის გვიანას, რომელიც საფრანგეთს ეკუთვნის და, შესაბამისად, ევროკავშირის ნაწილია. დაახლოებით 590 000 ადამიანი ცხოვრობს სურინამში, მათი უმეტესობა, ჩემი და ჩემი ოჯახის მსგავსად, დედაქალაქ პარამარიბოში ცხოვრობს. სხვათა შორის, მე კიმბერლი მქვია და ათი წლის ვარ.

სურინამი ადრე ნიდერლანდების კოლონია იყო, ვიდრე 1975 წლის 25 ნოემბერს დამოუკიდებელი რესპუბლიკა არ გახდა. ამიტომ, მშობლიური ენის სრანან-ტონგოს გარდა, ჩვენ ჰოლანდიურ ენაზეც ვლაპარაკობთ, სკოლაში სწავლება ჰოლანდიურად მიმდინარეობს.

ჩემს მეგობრებს ჩერენსია და ნორანჯა ჰქვიათ. ჩვენ ერთ კლასში ვართ.

მომწონს ენების სწავლა. ვიცი ჰოლანდიური, სრანან-ტონგო, ესპანური და ცოტა ინგლისური. ჩემი კლასის ფოტოზე წინა რიგში მარცხნიდან მეორე მე ვარ.აქ. მშობლებთან ერთად მხედავთ. მამაჩემი ჰარვი სურინამის სამხ. წინამძღვარია და

სამშენებლო კომპანიის ხელმძღვანელი. ის ზრუნავს ჩვენი ეკლესიების გარემონტებაზე და ზოგჯერ ახალ ეკლესიებსაც აშენებს. სწორედ ახლა იგი ჩვენი ეკლესიის გვერდით, დანკბაარკონდრეში, სამედიცინო პუნქტს აშენებს.

დედაჩემი ეველიზა დომინიკის რესპუბლიკაში დაიბადა. იქ ესპანურად ლაპარაკობენ და დედა მეც მასწავლის ამ ენას. იგი ამუშავებს ეკლესიის ფონდის „კორანტინის“ მაღაზიას ველბედახტში. მაღაზიის სახელია მაკანდრა, რაც ნიშნავს: „ერთად“. იქვე ჩვენი ეკლესიაა, სადაც ჩემს ძმებთან, ენჯელთან და რაულთან, და დედასთან ერთად ღვთისმსახურებაზე დავდივარ.

სურინამის საეკლესიო მხარე ათ თემს მოიცავს, დაახ.700 და-ძმით. აქ ჩვენს თემს ხედავთ.

ჩემი საყვარელი საჭმელია დომინიკური ნასი, ბრინჯის კერძი და ზოგჯერ ბურგერი.

ჩემი ჰობია ველოსიპედი და გეიმები, მომწონს მუსიკა. მიყვარს ასევე ჩვენს კატასთან თამაში.

წყარო: საბავშვო ჟურნალი, გამოცემა 03/2023 წ.;ფოტოები: პირადი; laurent33 ; Herjal; balabolka - stock.adobe.com

ფოტოები: კანდიდ ახსე

რჩეულება და მოწოდება სასულიერო თანამდებობისათვის

სასულიერო თანამდებობის გაგებასთან დაკავშირებული „რა“ და „ვინ“ დაზუსტებულია. კიდევ არის ერთი კითხვა: რატომ მიდის სასულიერო თანამდებობა მორწმუნესთან? ამას პირველმოციქული ჟან-ლუკ შნაიდერი განმარტავს ამ მოძღვრებით წერილში.

ახალსამოციქულო მრწამსის მეხუთე დებულებაში ნათქვამია: „მე მწამს, რომ ღვთისგან რჩეულთ სასულიერო თანამდებობისათვის მხოლოდ მოციქულები აკურთხებენ ხელდასხმით.“ ამას კატეხიზმო კიდევ უფრო აზუსტებს:

- სასულიერო თანამდებობა არ არის არც ადამიანის საქმე და არც თემის - ის არის საბოძვარი, რომელსაც ღმერთი ეკლესიას ანიჭებს.
- თავად ღმერთია ის, ვინც ირჩევს პიროვნებას, რათა სასულიერო თანამდებობა მიანდოს მას.
- ეს რჩეულება ხორციელდება ღვთის მიერ ორდინაციის დროს, რომელსაც მოციქული აღასრულებს (კატ. 2. 4. 5).

შევინარჩუნოთ და განვიმტკიცოთ რწმენა

რწმენა იმისა, რომ სასულიერო თანამდებობებზე ღმერთი მოუწოდებს, ჩვენი ეკლესიის სიმდიდრის ნაწილია. ის არის მოტივაციისა და ძალის წყარო მღვდელმსახურთათვის. ამავე დროს, ის ხელს უწყობს მოცემულის სასულიერო თანამდებობის აღიარებას თემის მხრიდან.

ჩვენ ვამბობთ, რომ ღმერთია ის, ვინც ადამიანს ორდინაციისათვის ირჩევს, ეს არჩევანი კი მოციქულის იმ გადაწყვეტილებაში გამოიხატება, რომ ხელდასხმით აკურთხოს ეს კონკრეტული ადამიანი. თუმცა უნდა ვაღიაროთ, რომ, თემის

მნიშვნელობიდან გამომდინარე, ეს ახსნა საკმაოდ მოკლეა.

გარკვეულმა გარემოებებმა შეიძლება ღვთისმსახურის ღვთიური რჩეულება კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენოს. მაგ., იმ შემთხვევაში, როცა აღმოჩნდება, რომ მღვდელმსახური არ შეესატყვისება მასზე დაკისრებულ სასულიერო თანამდებობას ანდა თავს ვერ ართმევს მის აღსრულებას.

იმ მღვდელმსახურის რჩეულება, რომლის ხელდასხმით კურთხევაც უნდა განხორციელდეს, უმეტეს შემთხვევაში შემდეგნაირად ხდება:

- ადგილობრივი პასუხისმგებელი პირები მოციქულს ორდინაციისათვის რეკომენდირებულ პირთა სიას წარუდგენენ.
- ამ რეკომენდაციების საფუძველზე მოციქული (ან სამხ. მოციქული) ორდინციისათვის ირჩევს კონკრეტულ პირებს.
- ადგილობრივი პასუხისმგებელი პირი კონტაქტს ამყარებს რჩეულ პირთან და უხსნის, თუ რას მოელიან მისგან.
- თუ ეს პიროვნებები თანხმობას განაცხადებენ, მოციქული მათ ხელდასხმით აკურთხებს სასულიერო თანამდებობაზე.

ამ „ადმინისტრაციული“ მიდგომის ღვთიურ რჩეულებათან თანხმობაში მოყვანა სულაც არ არის თავისთავად ცხადი. ამიტომ ვფიქრობ, რომ სასულიერო თანამდებობასთან მიმართებაში ღვთიური რჩეულებისა და მოწოდების უფრო მეტად განმარტება სასარგებლო იქნება.

ღვთიური რჩეულება

როგორც ყველა გადაწყვეტილება, რომელსაც ღმერთი იღებს, სასულიერო თანამდებობაზე ღვთიური რჩეულებაც მისტერიაა, რომელში წვდომაც მხოლოდ რწმენით არის შესაძლებელი. არც ერთ მოციქულს არ შეუძლია ამტკიცოს, რომ ბოლომდე ესმის, თუ რატომ ირჩევს ღმერთი ამა თუ იმ მორწმუნეს, რათა განსაკუთრებული დავალება მიანდოს მას. მოციქულის ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ შეიცნოს ღვთის ნება და სათანადოდ მოიქცეს (კატ. 7. 7).

იმის დასადგენად, თუ რომელ მორწმუნეს მოუწოდა ღმერთმა სასულიერო თანამდებობაზე, შემდეგი უნდა იქნას გათვალისწინებული:
ეკლესიის მოთხოვნილებები: სასულიერო თანამდებობა თვითმიზანი არ არის, ის ღვთისგან არის ნაბოძები ეკლესიის მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. თემის მოთხოვნილებებისა და მოლოდინების შესაცნობად მოციქული და მისი თანაშემწენი სულიწმიდით უნდა წარიმართებოდნენ.

სულიერი ნიჭები: ღმერთი მას, ვისაც სასულიერო თანამდებობისათვის ირჩევს, სულიერ ნიჭებს აძლევს, რომლებიც ამ თანამდებობის აღსასრულებლად არის საჭირო. იმ მორწმუნეს, რომელიც სასულიერო თანამდებობაზე არის მოწოდებული, შევიცნობთ

- იესო ქრისტეს, მისი სიკვდილისა და აღდგომის მიმართ მისი რწმენით.
- სახარებისადმი მისი ერთგულებით.
- ეკლესიისადმი, როგორც ხსნის შუამავალისადმი, მოციქულებისადმი, საიდუმლოებისა და სასულიერო მსახურებისადმი მისი რწმენით.
- მისი სიყვარულით ღმერთისა და მოყვასის მიმართ.
- მსახურებისათვის მისი მზადყოფნით.

ადამიანური უნარები: ღვთის მიერ რჩეულება იმ უნარებში ვლინდება, რომელსაც იგი მორწმუნეს ანიჭებს. დავასახელოთ, მაგ, მოსმენის უნარი, დიალოგის წარმართვის უნარი, აზრის გასაგებად გამოხატვის უნარი, გულღიაობა, საღად აზროვნების უნარი, ცოდნა ან სწავლის უნარი და სურვილი. მოციქული და მისი თანაშემწეები უნდა დარწმუნდნენ, რომ მღვდელმსახურის ადამიანური უნარებიც-ე.ი.,ხასიათი,ემოციურობაანინტელექტი - იმ თემის მოთხოვნილებებს შეესატყვისება, სადაც მას მასახურებისკენ მოუწოდეს.

თემის მიერ მიღება: სასულიერო თანამდებობა საბოძვარია, რომელსაც ღმერთი თემს სწყალობს. ის მღვდელმსახურს იმ მორწმუნეთა შესატყვისად ირჩევს, რომლებსაც იგი უნდა ემსახუროს. მოციქული უნდა დარწმუნდეს, რომ მორწმუნეს, რომლის ორდინირებაც მას სურს, თემი მიიღებს. თავდაპირველ ეკლესიაში მოციქულებმა თემს სთხოვეს, რომ შვიდი კაცი დაესახელებინათ, რომლებიც დიაკვნებად იქნებოდნენ კურთხეულნი (საქმე 6, 1-6). ჩვენს დღეებში ასეთი გადაწყვეტილების მიღება ეკისრება თემის ან სამხ. წინამძღვრებს ადგილზე, რომლებიც თემის სახელითა და დავალებით მოქმედებენ. წარუდგენენ რა მოციქულს თავიანთ წინადადებას, ამით ხელმძღვანელი მღვდელმსახურები ადასტურებენ, რომ რწმენით აღსავე თემმა შეიცნო (ან შეძლებს შეიცნოს) იმათი სულიერი ნიჭი და უნარი, რომელთა ორდინაციაც მათ სურთ.

მორწმუნის მიერ მისი მოწოდების აღიარება: ღვთიურ რჩეულებას ყოველთვის თან სდევს მოწოდება. ღმერთი მოუწოდებს ადამიანს,

რომელიც ამოირჩია, და აძლევს შესაძლებლობას, გადაწყვიტოს, მიიღებს თუ არა ამ რჩეულებას. დარწმუნებულნი ვართ, რომ ეს მოწოდება მორწმუნეს მოციქულის ან, თუ აუცილებელია, მისი წარმომადგენლის მიერ ეხსნება. თუმცა, ცხადია, ეს არ არის ერთადერთი შესაძლებლობა, თუ როგორ შეიძლება, რომ ღმერთმა მორწმუნეს მსახურებისკენ მოუწოდოს.

ღვთიური მოწოდება მოწოდებულის პიროვნულ განვითარებაშიც გამოიხატება. ცხოვრებისეული გარემოებებისა და პირადი გამოცდილებების მეშვეობით ღმერთი მის გულში აღვიძებს

- მადლიერებას მიღებული ნიჭებისა და სიკეთეებისათვის;
- ღმერთისა და ეკლესიისადმი სიყვარულს;
- მადლიერებიდან და სიყვარულიდან აღძრულ გულწრფელ სურვილს, ემსახუროს ღმერთსა და ეკლესიას.

განვამტკიცოთ რჩეულება და მოწოდება

ეს არის შინაგანი მოწოდების შეგრძნების შერწყმა მოციქულის მხრიდან მოწოდებასთან, რაც მორწმუნეს იმის გაცნობიერების შესაძლებლობას აძლევს, რომ ღმერთმა მოუწოდა მას ამ სასულიერო თანამდებობაზე. აუცილებელია, რომ მოწოდებულმა მისი რჩეულება და მოწოდება განამტკიცოს (2. პეტ. 1, 10) ნებაყოფლობითი განაცხადით იმის შესახებ, რომ

- ეთანხმება ახალსამოციქულო მრწამსს;
- აღასრულებს სასულიერო მსახურებას იმ დავალების ფარგლებში, რომელიც მას დაეკისრა;
- იმუშავებს მოციქულებთან და სხვა მღვდელმსახურებთან ერთობაში;
- დაიცავს ახალსამოციქულო ეკლესიის წესებსა და წესრიგს.

მნიშვნელოვანია, რომ მოწოდებულმა თავისუფლად და საქმის მნიშვნელობის სრული შეგნებით შეძლოს გადაწყვეტილების მიღება. მან უნდა იცოდეს, თუ რა ვალდებულებას იღებს და რა შედეგები მოჰყვება ამ ვალდებულებას. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, რომ გადაწყვეტილების მიღების ამ პროცესში მისი მეუღლეც იყოს ჩართული.

ორდინაციის შემდეგ მღვდელმსახურმა უნდა გააგრძელოს მისი რჩეულების განმტკიცება შემდეგნაირად:

- განიწმიდოს;
- შეეცადოს, შეიცნოს ღვთის ნება და შესაბამისად მოიქცეს;
- გააღრმავოს მოციქულებთან და სხვა მღვდელმსახურებთან ერთობა;
- კიდევ უფრო განავითაროს თავისი ნიჭი და უნარი;
- აიღოს ვალდებულება შემდგომი განათლების შესახებ, რათა შეიძინოს ცოდნა და უნარები, რომლებიც მისი სასულიერო თანამდებობის განხორციელებისათვის არის საჭირო.

ეკლესიის ხელმძღვანელობამ უნდა იზრუნიოს იმაზე, რომ მღვდელმსახურს მიეცეს რჩევა-დარიგებები და ხელი შეეწყოს მუშაობაში. თემი მხარში უნდა ამოუდგეს მღვდელმსახურს თავისი ლოცვით, ასევე პატივისცემა და სოლიდარობა უნდა გამოხატოს მის მიმართ.

წარმატების არავითარი გარანტია

ღვთის მიერ გაკეთებული არჩევანი, რომელიც ორდინაციით ხორციელდება, არ გამორიცხავს იმას, რომ მღვდელმსახურმა თავი ვერ გაართვას (წარუმატებელი იყოს) სასულიერო თანამდებობის აღსრულებას. „და მაინც, თავდაპირველი ღვთიური მოწოდება ამის გამო ეჭვქვეშ არ დგება“ (კატ. 2. 4. 5).

კატეხიზმო აქ განსხვავებას აკეთებს ღმერთსა, რომელიც სრულყოფილი და შეუმცდარია, და ადამიანს შორის, რომელიც, მიუხედავად რჩეულებისა, არასრულყოფილია და შეცდომებს ექვემდებარება.

ყოველგვარი გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად, თავიდანვე გასაგებად ვიტყვით, თუ რას ვგულისხმობთ წარუმატებლობაში სასულიერო თანამდებობის აღსრულების დროს. წარუმატებლობა, რომელზედაც აქ არის ლაპარაკი, მიღწეულ „შედეგებს“ არ ეხება, არამედ იმას, თუ რანაირად ასრულებს მღვდელმსახური ღვთიურ ნებას.

მიზეზები, რომლებმაც მღვდელმსახურს სასულიერო თანამდებობის აღსრულებაში შეიძლება შეუშალოს ხელი, შეიძლება სხვადასხვა ხასიათის იყოს:

წარუმატებლობა, რომელსაც თავად მღვდელმსახური განაპირობებს: სასულიერო თანამდებობის აღსრულებისას მღვდელმსახური ვერ იქნება წარმატებული, თუ

- მისი საქციელი შეუთავსებელია მის სასულიერო თანამდებობასთან;
- არა აქვს კავშირი მოციქულთან;
- თავისი პოზიციით ერთმორწმუნე და-ძმების ნდობას კარგავს;
- უარს ამბობს, რომ მისი ნიჭი და ძალა ეკლესიის მსახურებას მოახმაროს.

ყველა ამ შემთხვევაში მღვდელმსახური ღვთიურ კურთხევას კარგავს, რისი მიზეზიც თავად არის, და ამიტომაც მისი ქმედება წარუმატებლობისთვის არის განწირული. მიუხედავად ამისა, მღვდელმოქმედებანი, რომლებიც მან მისი სასულიერო უფლებამოსილების ფარგლებში ჩაატარა (საიდუმლოთა მინიჭება, ცოდვათა მიტევების უწყება, ლოცვა-კურთხევა, სწორად ჩატარებული პარაკლისი), მისი საქციელის გამო ეჭვქვეშ არ დგება. ისინი ძალაშია და მათი ყველა შედეგის გამოვლენაა შესაძლებელი.

წარუმატებლობა, რომელიც თემით არის განპირობებული: ადამიანური სისუსტე იქამდე შეიძლება მივიდეს, რომ თემის წევრებმა მღვდელმსახურის მიმართ შეუწყნარებლობა გამოიჩინონ ან სულაც მტრულად განეწყვნენ მის მიმართ. ამ მომენტიდან ის ვეღარ ასრულებს მათთან დაკავშირებულ მის მოვალეობას. ამ წარუმატებლობის მიზეზი ამ შემთხვევაში თემია და არა მღვდელმსახური.

წარუმატებლობა, რომელიც ეკლესიის ხელმძღვანელთა მხრიდან არის განპირობებული: მოციქულებიც არასრულყოფილი ადამიანები არიან, ისინიც შეიძლება შეცდნენ. თუ აღმოჩნდება, რომ მცდელობის მიუხედავად, მღვდელმსახური ვერ ამართლებს მასზე დაკისრებულ სასულიერო თანამდებობას, მოციქულს უნდა ეყოს პატიოსნება და საკუთარ თავს კითხვები დაუსვას. იქნებ შეცდომები იქნა დაშვებული თემის საჭიროებების ან მღვდელმსახურის უნარების შეფასებისას. ამ დროს მოციქული ვალდებულია მხარში ამოუდგეს მღვდელმსახურს, მოცემულ შემთხვევაში, მისი უნარები მის დავალებას შეუთავსოს და იმაზე იზრუნოს, რომ მან და, თუ საჭიროა, მისმა ოჯახმა სათანადო სასულიერო მზრუნველობა მიიღონ.

წარუმატებლობა, განპირობებული გარე პირობებით: არის შემთხვევები, როცა ორდინაციის შემდეგ მოწოდებულის ცხოვრებაში ისეთი მოვლენები ხდება, რომლებიც ართულებენ ან სულაც შეუძლებელს ხდიან სასულიერო თანამდებობის აღსრულებას. ასეთია, მაგ., ის შემთხვევა, როცა

- მღვდელმსახურს ჯანმრთელობის პრობლემები ექმნება ანდა მის ოჯახსა თუ სამსახურში მნიშვნელოვანი ცვლილებები ხდება;
- თემის შემადგენლობა იმდენად იცვლება, რომ იგი ახალი გამოწვევების წინაშე დგება;
- ეკლესიის დემოგრაფიული განვითარება ეკლესიას ორგანიზაციის შეცვლას აიძულებს.

ამგვარი ცვლილებები ღვთიურ მოწოდებას კითხვის ნიშნის ქვეშ კი არ აყენებს, არამედ იმაზე გვაფიქრებს,

- თუ რას მოელის ღმერთი ახლა;
- რა უნდა გაკეთდეს, რომ მღვდელმსახურმა მისი სასულიერო უფლებამოსილების ღვთის ნებისამებრ განხორციელება შეძლოს;
- საჭიროა თუ არა მღვდელმსახურის სასულიერო დავალების გადახედვა;
- დადგა თუ არა მღვდელმსახურის მისი სასულიერო დავალებისგან განთავისუფლების დრო.

სასულიერო თანამდებობის აღსრულება ხსნის გარანტია არ არის, სასულიერო თანამდებობაში წარუმატებლობის ფაქტი არ გამორიცხავს იმას, რომ მღვდელმსახურს ხსნასთან მისაწვდომი ჰქონდეს. მასთან მიმართებაში ჩვენი ამოცანა უცვლელია: დავეხმაროთ მას ხსნის მიღწევაში. მოციქულის დავალებაში არ შედის იმათი განსჯა, ვინც უარს ამბობს სასულიერო თანამდებობაზე. და ბოლოს, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ მღვდელმსახურები, რომლებიც მსახურების აღსრულებისას სირთულეებს განიცდიან, განსაკუთრებულ ნუგეშსა და თანადგომას საჭიროებენ.

სატიტულო ფურცელი
გამომცემელი: ჟან-ლუკ შნაიდერი, იუბერლანდშტრასე 243, 8051 ციურიხი / შვეიცარია
შპს ფრიდრიხ ბიშოფის გამომცემლობა, ფრანკფურტერშტრასე 233, 63263 ნოი-იზენბურგი / გერმანია
რედაქტორი: სიმონ ჰაინიგერი

პროგრამა

07.01.2024 წ.	ბაზელი (შვეიცარია)
14.01.2024 წ.	ჰოორნი (ნიდერლანდები)
19.01.2024 წ.	გისენი (რუანდა)
21.01.2024 წ.	კიგალი (რუანდა)
04.02.2024 წ.	ლიმა (პერუ)
11.02.2024 წ.	მულჰაუსი (საფრანგეთი)
25.02.2024 წ.	ჰილდესჰაიმი (გერმანია)
03.03.2024 წ.	პალმა დე მალორკა (ესპანეთი)
10.03.2024 წ.	მინდენი (გერმანია)
14.03.2024 წ.	ქანაანი (მიანმარი)
17.03.2024 წ.	ჩიანგ-მაი (ტაილანდი)
29.03.2024 წ.	ვილი (შვეიცარია)
31.03.2024 წ.	ნაგოლდი (გერმანია)

New Apostolic Church
International